

შპს "გუმბათი ჯგუფი"

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
<i>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	
1 ჯგუფი და მისი საქმიანობა	8
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო	8
3 მომზადების საფუძველი	8
4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9-12
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	12-13
6 ფულადი სახსრები	13
7 სავაჭრო მოთხოვნები	13
7.1 საექვო მოთხოვნის მოძრაობა	13
8 მარაგები	14
9 ძირითადი საშუალებები	14
11 საინვესტიციო ქონება	14
12 მიღებული ავანსები	14
10 წინასწარ გადახდილი გადასახადი	14
12 ნასესხები სახსრები	15
14 ამონაგები	15
15 რეალიზაციის თვითღირებულება	15
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
17 ნეტო კურსთა შორის სხვაობა	15
18 ფინანსური ხარჯი	15
19 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15
20 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	16

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 16



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "გუმბათი ჯგუფი"-ს მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს "გუმბათი ჯგუფი"-ს (შემდეგში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობასა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც წარმოადგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ები მსს-სთვის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თქვა ადუაზვილი / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-A-270658

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-815072

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

თეა ადუაშვილი / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

SARAS-A-270658

SARAS-F-815072



შპს "გუმბათი ჯგუფი"
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	6	1,653	59
სავაჭრო მოთხოვნები	7	4,501	3,653
მარაგები	8	10,355	10,143
სულ მიმდინარე აქტივები		16,509	13,855
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
გაცემული სესხები		150	148
ძირითადი საშუალებები	9	2,549	2,592
წინასწარ გადახდილი გადასახადი	10	617	507
საინვესტიციო ქონება	11	3,674	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,990	3,247
სულ აქტივები		23,499	17,102
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა დავალიანება		318	50
მიღებული ავანსები	2	2,687	7,526
ნასესხები სახსრები	13	224	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,229	7,576
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
ნასესხები სახსრები	13	15,966	5,979
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,966	5,979
სულ ვალდებულებები		19,195	13,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		93	93
არასაკონტროლო წილი		441	-
გაუნაწილებელი მოგება		3,770	3,454
სულ საკუთარი კაპიტალი		4,304	3,547
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		23,499	17,102

ლაშა ბალაძე
 დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
 ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	6	1,653	59
სავაჭრო მოთხოვნები	7	4,501	3,653
მარაგები	8	10,355	10,143
სულ მიმდინარე აქტივები		16,509	13,855
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
გაცემული სესხები		150	148
ძირითადი საშუალებები	9	2,549	2,592
წინასწარ გადახდილი გადასახადი	10	617	507
საინვესტიციო ქონება	11	3,674	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,990	3,247
სულ აქტივები		23,499	17,102
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა დავალიანება		318	50
მიღებული ავანსები	2	2,687	7,526
ნასესხები სახსრები	13	224	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,229	7,576
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
ნასესხები სახსრები	13	15,966	5,979
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,966	5,979
სულ ვალდებულებები		19,195	13,555
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		93	93
არასაკონტროლო წილი		441	-
გაუნაწილებელი მოგება		3,770	3,454
სულ საკუთარი კაპიტალი		4,304	3,547
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		23,499	17,102

ლაშა ბალაძე
 დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
 ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	14	14,167	14,119
რელიზაციის თვითღირებულება	15	(8,912)	(8,173)
საერთო მოგება		5,255	5,946
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(754)	(747)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	7.1	(83)	(36)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	17	(1,169)	(362)
ფინანსური შემოსავალი		9	-
ფინანსური ხარჯი	18	(480)	(394)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		15	(21)
მოგება დაბეგრამდე		2,793	4,386
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		2,793	4,386

ლაშა ბალაძე
დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	14	14,167	14,119
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(8,912)	(8,173)
საერთო მოგება		5,255	5,946
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(754)	(747)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	7.1	(83)	(36)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	17	(1,169)	(362)
ფინანსური შემოსავალი		9	-
ფინანსური ხარჯი	18	(480)	(394)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		15	(21)
მოგება დაბეგვრამდე		2,793	4,386
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა (ზარალი)/მოგება		2,793	4,386

ლაშა ბალაძე
დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
31-დეკ-18	577	(307)	-	270
კაპიტალის შემცირება	(484)	-	-	(484)
გადახდილი დივიდენდი	-	(625)	-	(625)
წლის მოგება	-	4,386	-	4,386
31-დეკ-19	93	3,454	-	3,547
წილის ზრდა	-	-	441	441
გადახდილი დივიდენდი	-	(2,477)	-	(2,477)
წლის მოგება	-	2,793	-	2,793
31-დეკ-20	93	3,770	441	4,304

ლაშა ბალაძე
 დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
 ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
31-დეკ-18	577	(307)	-	270
კაპიტალის შემცირება	(484)	-	-	(484)
გადახდილი დივიდენდი	-	(625)	-	(625)
წლის მოგება	-	4,386	-	4,386
31-დეკ-19	93	3,454	-	3,547
წილის ზრდა	-	-	441	441
გადახდილი დივიდენდი	-	(2,477)	-	(2,477)
წლის მოგება	-	2,793	-	2,793
31-დეკ-20	93	3,770	441	4,304

ლ. ბაღაძე

ლაშა ბაღაძე
დირექტორი



გ. ბაღაძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს "გუმბათი ჯგუფი"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	2,793	4,386
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	385	354
დებიტორების რეზერვაცია	83	36
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	1,169	362
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(931)	(2,613)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	(212)	(1,148)
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	(110)	(308)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	253	(404)
(კლება)/ზრდა მიღებულ ავანსებში	(4,839)	(2,077)
გადახდილი სესხის პროცენტი	(385)	(354)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(1,409)	(1,412)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(345)	(93)
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	3	19
საინვესტიციო ქონების შეძენა	(3,674)	-
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,016)	(74)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	11,198	6,205
სესხის გადახდა	(2,143)	(3,569)
სესხის გაცემა	(249)	(178)
გაცემული სესხის დაბრუნება	247	94
დივიდენდის გადახდა	(2,477)	(625)
კაპიტალის (შემცირება)/ზრდა	441	(484)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	7,017	1,443
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,592	(43)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	2	(304)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	59	406
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,653	59

ლაშა ბალაძე

დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე

ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

შპს "გუმბათი ჯგუფი"

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	2,793	4,386
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	385	354
დებიტორების რეზერვაცია	83	36
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	1,169	362
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(931)	(2,613)
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(931)	(2,613)
(ზრდა)/კლება სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	(212)	(1,148)
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	(110)	(308)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	253	(404)
(კლება)/ზრდა მიღებულ ავანსებში	(4,839)	(2,077)
გადახდილი სესხის პროცენტი	(385)	(354)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(1,409)	(1,412)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(345)	(93)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(345)	(93)
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	3	19
საინვესტიციო ქონების შეძენა	(3,674)	-
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,016)	(74)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	11,198	6,205
სესხის აღება	11,198	6,205
სესხის გადახდა	(2,143)	(3,569)
სესხის გაცემა	(249)	(178)
გაცემული სესხის დაბრუნება	247	94
დივიდენდის გადახდა	(2,477)	(625)
კაპიტალის (შემცირება)/ზრდა	441	(484)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	7,017	1,443
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,592	(43)
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	2	(304)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	59	406
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,653	59

ლაშა ბალაძე
დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

20 დეკემბერი, 2021

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-16 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

გიორგი ბალაძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გუმბათი ჯგუფი"

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „გუმბათი ჯგუფი“ (შემდგომში – ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფი დარეგისტრებულია 2006 წლის 19 ივლისს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 245567140.

დაარსების დღიდან ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელია თამაზ ბალაძე

ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს ჯგუფის დირექტორი - ლაშა ბალაძე.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს - კორპუსების მშენებლობა და რეალიზაცია, სამშენებლო-სარემონტო მომსახურებების გაწევა ქალაქ ბათუმში.

საქმიანობის ადგილი და რეგისტრაციის მისამართი. ჯგუფის იურიდიული მისამართია - საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის N129. საქმიანობას ეწევა ქალაქ ბათუმში.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ჯგუფის პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებია, რომელიც შესაბამისობაშია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასები მსს-სთვის), რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. ჯგუფის გადასვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვარია. ფასს-ები მსს-სთვის, რომელიც ექვემდებარება გარკვეულ გამოწვევებს, მოითხოვს სტანდარტების და ინტერპრეტაციების იმ ვერსიების გამოყენებას, რომლებიც ფასს-ები მსს-სთვის შესავალი ანგარიშგების მომზადებისთვის ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი პირველი ფასს-ების მსს-სთვის მიხედვით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილი ყველა პერიოდის განმავლობაში.

ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

2020 წლის 31 დეკემბრისთვის სეზ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარს და 1 ევრო = 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო ამერიკული დოლარი (\$) 1 = 3.1097 და ევრო 1 = 3.5519 ლარს (2019: 1 აშშ დოლარი 2.7722 1 ევრო- = 3.1398). ამავდროულად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლიადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფის არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა ნაგებობა	5%
მანქანა დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	20%

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 01-იან-17-მდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიდინარედა გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. პირობითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

საოპერაციო იჯარა. როდესაც ჯგუფი მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა ჯგუფის მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. იჯარის ვადა არის შეუქცევადი, რომლისთვისაც მოიჯარემ ხელშეკრულება გააფორმა მოცემული აქტივის იჯარით გაცემაზე, იმ დამატებით ვადასთან ერთად, რომლის განმავლობაშიც მეიჯარეს ამ აქტივის იჯარით ფლობის გაგრძელების ოფციონი აქვს, შემდგომი გადახდებით თუ გადახდების გარეშე, როდესაც საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას გონივრულად სარწმუნოა, რომ მეიჯარე გამოიყენებს ამ ოფციონს.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ჯგუფი საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე. გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც კონსოლიდირებულად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიკური პროცენტებისადმი.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

6	ფულადი სახსრები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,191	1
	ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	462	-
	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	58
	სულ ფულადი სახსრები	1,653	59
7	სავაჭრო მოთხოვნები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	სავაჭრო მოთხოვნები	4,197	3,397
	სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(150)	(67)
	ნეტო სავაჭრო მოთხოვნები	4,047	3,330
	გადახდილი ავანსები	430	304
	სხვა მოთხოვნები	24	19
	სულ სავაჭრო მოთხოვნები	4,501	3,653
7.1	საექვო მოთხოვნის მოძრაობა	2020	2019
	საექვო მოთხოვნის ნაშთი 01 იანვარი	67	31
	პლიუს: რეზერვის ხარჯი	86	55
	მინუს: რეზერვის ამობრუნება	(3)	(19)
	საექვო მოთხოვნის ნაშთი 31 დეკემბერი	150	67

შპს "გუმბათი ჯგუფი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

8	მარაგები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	დაუმთავრებელი წარმოება	7,392	7,225
	მზა პროდუქცია	1,816	1,860
	ნედლეული და მასალები	1,124	1,044
	სხვა მასალები	23	14
	სულ მარაგები	10,355	10,143

2020 და 2019 წლების საანგარიშო პერიოდში დანახარჯად აღიარებული მარაგების ღირებულება შესაბამისად 8,257 ათასი ლარი და 6,413 ათასი ლარი.

9	ძირითადი საშუალებები	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	მიწა და შენობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	ისტორიული ღირებულება						
	31-დეკ-18	1,337	61	749	725	2,872	
	შეძენა	24	4	14	51	93	
	ჩამოწერა	-	-	(9)	(10)	(19)	
	31-დეკ-19	1,361	65	754	766	2,946	
	შეძენა	-	76	60	209	345	
	ჩამოწერა	-	-	-	(3)	(3)	
	31-დეკ-20	1,361	141	814	972	3,288	

აკუმულირებული ცვეთა

31-დეკ-18	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	41	12	150	151	354	
31-დეკ-19	41	12	150	151	354	
პერიოდის ცვეთა	41	21	152	171	385	
31-დეკ-20	82	33	302	322	739	

ნარჩენი ღირებულება

31-დეკ-18	-	1,337	61	749	725	2,872
31-დეკ-19	-	1,320	53	604	615	2,592
31-დეკ-20	-	1,279	108	512	650	2,549

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები დაგირავდა, როგორც ნასესხები სახსრების უზრუნველყოფა (იხ. შენ. 13).

10	წინასწარ გადახდილი გადასახადი	31-დეკ-20	31-დეკ-19
	დღგ	995	675
	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(285)	(81)
	ქონების გადასახადი	(92)	(80)
	მოგების გადასახადი	(2)	(2)
	სხვა გადასახადები	1	(5)
	სულ წინასწარ გადახდილი გადასახადი	617	507

11 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება შედგება შენობისგან ქალაქ ბათუმში, ცენტრალურ უბანში, რომლის ღირებულება შეძენის თარიღისთვის იყო 3.674 ლარი. აქტივის რეალური ღირებულება და თვითღირებულება თანხვედრაშია და არ საჭიროებს გაუფასურებას.

12	მიღებული ავანსები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	მიღებული ავანსები	2,687	7,526
	სულ მიღებული ავანსები	2,687	7,526

შპს "გუმბათი ჯგუფი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

12	ნასესხები სახსრები	31-დეკ-20	31-დეკ-19
	მიმდინარე სესხი ლარში	184	-
	მიმდინარე სესხი დოლარში	40	-
	გრძელვადიანი სესხი დოლარში	15,966	5,979
	სულ ნასესხები სახსრები	16,190	5,979
	სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხ. შენ. 10).		
13	ამონაგები	2020	2019
	ამონაგები მშენებლობიდან	9,663	10,910
	ამონაგები მომსახურებიდან	4,504	3,209
	სულ ამონაგები	14,167	14,119
14	რეალიზაციის თვითღირებულება	2020	2019
	მასალების ღირებულება	8,257	6,413
	ცვეთის ღირებულება	385	354
	ხელფასების ღირებულება	110	345
	სხვა ხარჯების ღირებულება	105	425
	კომუნალური ხარჯების ღირებულება	45	395
	მიწოდების სხვა ხარჯები	10	241
	სულ რეალიზაციის თვითღირებულება	8,912	8,173
15	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
	ხელფასის ხარჯი	478	518
	იჯარის ხარჯი	25	6
	სხვა ხარჯი	251	223
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	754	747
16	ნეტო კურსთა შორის სხვაობა	2020	2019
	უარყოფითი საკურსო სხვაობა	12,774	10,322
	დადებითი საკურსო სხვაობა	(11,605)	(9,960)
	სულ ნეტო კურსთა შორის სხვაობა	1,169	362
17	ფინანსური ხარჯი		
	ფინანსური ხარჯი შედგება საპროცენტო ხარჯისგან 480 ათასი ლარი 2020 წელს, 394 ათასი ლარი 2019 წელს.		
18	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		
	დაკავშირებული მხარის დავალიანება	31-დეკ-20	31-დეკ-19
	სავაჭრო მოთხოვნები	56	51
	ნასესხები სახსრები	328	274
	მენეჯმენტის ანაზღაურება	2020	2019
	ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	59	76

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს. 2020 წლის პირველ რამოდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს გავრცელება იქნება საბალანსო უწყისის შემდგომი არაკორექტირებადი მოვლენა. ვინაიდან ეს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოცემისას ჯერ ისევ განვითარების ეტაპზე მყოფი გარემოებაა, მას ჯგუფის ამონაგებზე არსებითი გავლენა არ ჰქონია. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ მოელოდა არსებითი გავლენის არსებობას მისი საქმიანობის ბუნების გამო, რომელიც დაკავშირებულია არსებულ საჭიროებებთან. საგანგებო მდგომარეობის დროს, ადმინისტრაციული პერსონალი და ის თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან, მუშაობდნენ დისტანციურად. ჯგუფის შიგნით სამუშაოები გაგრძელდა და გათვალისწინებულია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა საჭირო ზომები და რეკომენდაციები. ხელმძღვანელობა გააგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი გავლენის თავიდან ასაცილებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდომ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, ჯგუფმა დამფუძნებელზე გასცა დივიდენდი 619 ათასი ლარის ოდენობით.

2021 წლის ოქტომბერში, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 60 ათასი ლარით, დამფუძნებლის კაპიტალში ფულადი შენატანის საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდომ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, ჯგუფმა დაფარა მიღებული სესხის ძირი 2,724 ათასი ლარის ექვივალენტის ოდენობით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

**შპს „გუმბათი ჯგუფი“-ს
მმართველობითი ანგარიშგება**

შინაარსი

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	2
2. კორპორაციული მართვის ანგარიში	7
3. არაფინანსური ანგარიშგება	10

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია „გუმბათი ჯგუფმა“ პოზიციონირება ბაზარზე 1998 წელს დაიწყო და მშენებლობის მაღალი სტანდარტების დამსახურებით დღემდე მოწინავე ადგილს იკავებს თავის სფეროში.

„გუმბათი ჯგუფი“ არის პირველი კომპანია, რომელმაც დაიწყო დიდი მასშტაბის მშენებლობა ბათუმში. კომპანიას აშენებული აქვს 500.000 კვ.მ. კომერციული და საცხოვრებელი ფართი, ასევე 2 ოლიმპიური სტანდარტის სტადიონი.

„გუმბათი ჯგუფს“ მიღებული აქვს IV კლასის მშენებლობის ნებართვა და ISO სერტიფიკატი (9001-2015) ხარისხის მენეჯმენტის მიმართულებით.

კომპანია „გუმბათი ჯგუფი“ მომხმარებელს სთავაზობს მაღალი კლასის აპარტამენტებს, როგორც დასრულებულ, ისე მშენებარე ობიექტებში, აპარტამენტების შემდგომი მართვის მიზნით.

სამშენებლო-დეველოპერი კომპანია „გუმბათი ჯგუფი“-ს თითოეული პროექტი არის ინოვაციური და გამორჩეული კომპეტენტური შესრულებითა და შთამბეჭდავი დიზაინით. კომპანია 1998 წლიდან მოღვაწეობს საქართველოს პირველად საბინაო ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში მოახერხა მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიეღწია, გახდა რა ერთ-ერთი ლიდერი და გარკვეულწილად პიონერი ზოგიერთი მიმართულებით. მაგალითად, გუმბათი ჯგუფი პირველი სამშენებლო კომპანიაა, რომელიც ბათუმის ბაზარზე გავიდა. მისი წვლილი აჭარის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია.

კომპანიის საქმიანობის ნუსხა მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებით როდი შემოიფარგლება. გარდა ამისა, კომპანიაში ხდება სამშენებლო მასალების წარმოება და დიზაინის მომსახურების გაწევა.

კლიენტზე ორიენტაციის მაღალი დონე დასტურდება იმ ფაქტით, რომ კომპანია ბინის მესაკუთრეებს სთავაზობს ინდივიდუალურ პირობებს, ასევე უძრავი ქონების შემენას გამარტივებული წესით. აღნიშნული ასევე ეხება საქართველოს არარეზიდენტ პირებს, რომლებიც ხშირად გამოთქვამენ საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ინვესტირების სურვილს.


გუმბათი ჯგუფი ციფრებში:

- 20 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- 500,000 კვადრატული მეტრი აშენებული უძრავი ქონება;
- 300 მაღალკვალიფიციური თანამშრომელი, დიდი გამოცდილებითა და მისწრაფებით მაღალი მიზნების მისაღწევად.

სუბიექტის განვითარების გეგმები

მშენებლობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მსხვილი სექტორია. 2020 წელს მშენებლობის სექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 3 მილიარდ ლარს გადააჭარბა და საქართველოს ეკონომიკის (მთლიანი შიდა პროდუქტის - მშპ) 8.7% შეადგინა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მშენებლობის სექტორის საშუალო წლიური ზრდა თითქმის სამჯერ აღემატება ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს. ეკონომიკაში მშენებლობის წილს ზრდის ტენდენცია აქვს.

მშენებლობის დარგის დამატებული ღირებულება, მილიონი ლარი



მშენებლობის სექტორის ზრდას ხელს უწყობდა ამ სექტორში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც. აღნიშნულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად 2016 - 2018 წლებში გაიზარდა, წელიწადში საშუალოდ 175 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია შემოდიოდა. გაიზარდა მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში, რაც 2016-2018 წლებში მთლიანი ინვესტიციების საშუალოდ 13 - 14% - ს შეადგენდა. 2019 წელს აღინიშნებოდა ინვესტიციების მკვეთრი კლება, თუმცა 2020 წლიდან მაჩვენებელი კვლავ ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2015-2020 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2015	2016	2017	2018	2019	2020*
სულ	1 728.8	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	616.9
მათ შორის:						
საფინანსო სექტორი	201.6	124.1	308.8	274.0	272.1	400.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88.0	49.7	51.8	62.3	52.4	101.5
უძრავი ქონება	94.4	55.5	222.6	130.7	8.7	71.8
დამამუშავებელი მრეწველობა	104.7	123.6	99.3	169.5	115.3	68.1
მშენებლობა	144.4	176.5	176.7	173.8	35.3	62.2
კავშირგაბმულობა	0.7	87.1	49.5	-40.3	72.1	48.0
ტრანსპორტი	607.5	575.7	475.5	203.3	54.8	12.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	140.3	29.6	5.9	12.4	13.5	10.2
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	18.6	9.6	14.1	-1.8	5.7	8.9
ენერგეტიკა	123.7	145.0	279.0	122.3	261.6	5.8
სასტუმროები და რესტორნები	170.2	119.9	109.5	82.3	120.2	-221.5
დანარჩენი სექტორები	34.7	156.3	185.5	117.7	299.2	48.9

არსებული ტენდენციების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ მომზადდა სექტორების შეფასების დოკუმენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირება. სექტორების შეფასებისას გამოყენებული იყო ორი მთავარი ფაქტორი - მიმზიდველობა (desirability) და მიზანშეწონილობა (feasibility). მიმზიდველობა გულისხმობს მოცემულ სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციურ მნიშვნელობას საქართველოს განვითარების მიზნების გათვალისწინებით. მიზანშეწონილობა გულისხმობს პოტენციური ინვესტორი კომპანიისთვის სექტორში არსებული საინვესტიციო შეთავაზების მიმზიდველობას. ანალიზის შედეგად განისაზღვრა პრიორიტეტული სექტორები, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასტუმროების ინდუსტრიასა და ტურიზმთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობას. ამასთან, საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად, სასტუმროების ინდუსტრია იზრდება და ვითარდება დინამიურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი კომპანია აქტიურად ცდილობს სამშენებლო პროექტების განხორციელებას საქართველოს ტურისტულად აქტიურ - შავიზღვისპირეთის და მთიანი კურორტების რეგიონებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ეკონომიკის ყველა სექტორი, სამშენებლო სექტორიც ხასიათდება გარკვეული ტენდენციებით. კომანია მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციები, რითაც უზრუნველყოფს ბაზარზე მოთხოვნი პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას. სამშენებლო სფეროში არსებული ტენდენციებიდან აღსანიშნავია მოთხოვნის ზრდა ისეთ პროდუქტზე, რომელშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური მიღწევები, როგორც ეკოლოგიური, ასევე ენერგოეფექტური მასალების გამოყენების

მიმართულებით. კომპანია თანამშრომლობს აღნიშნული მიმართულებების მოწინავე კომპანიებთან და სპეციალისტებთან, რაც ხარისხიანი და მოთხოვნადი პროდუქტების შექმნის წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში კომპანია გეგმავს მრავალფუნქციური (საცხოვრებელი-კომერციული) ტიპის კომპლექსის დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე. პროექტის უნიკალური არქიტექტურა გააერთიანებს 3 საცხოვრებელ კორპუსს და თანამედროვე ბიზნეს ცენტრს. კომპლექსი გამოირჩევა მშენებლობის მაღალი სტანდარტით, ენერგოეფექტური და კლიმატზე ადაპტირებული ფასადით, მთისა და ზღვის პანორამული ხედებით.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს ფილიალებს, თუმცა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კომპანია ცდილობს განავითაროს ინფრასტრუქტურული ქსელი რეგიონების მასშტაბით. პროექტების ეფექტურად მართვის მიზნით, ჩვენ ვცდილობთ სასაწყობო მეურნეობების და სპეც-ტექნიკის ბაზების ქსელის განვითარებას რეგიონების მიხედვით იმისათვის, რომ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება და დროის ეკონომია. ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულების უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და ფუნქციურად დატვირთვის ხარჯზე, კომპანია გეგმავს ფილიალების შექმნას.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია აცნობიერებს, რომ ინოვაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან, მწარმოებლურობის ზრდასთან და რესურსების დაზოგვასთან, წარმოადგენს სასიცოცხლო ძალას ეკონომიკური ზრდისთვის. ეს ძალა, დამოკიდებულია იმ ცოდნის შექმნის, დაგროვების და გავრცელება/დანერგვის პროცესთან, რომლებიც ხშირად არიან მჭიდრო თანამშრომლობაში საჯარო თუ კერძო კვლევით დაწესებულებებთან (კვლევითი ცენტრები და უნივერსიტეტები). სწორედ ამიტომ, მოცემულ ეტაპზე, კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებული სპეციალისტებისათვის აღნიშნული დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებთან, ტექნოლოგიურ სიახლეებთან მუდმივ წვდომას, რაც, უახლოეს მომავალში, უნდა გახდეს, საკუთარი კვლევითი პოტენციალის განვითარების წინაპირობა. ვინაიდან, ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროექტების მონიტორინგის, შეფასებისა და სამუშაოს ხარჯთაღრიცხვის საკითხებში, კვლევითი სამუშაოების წარმართვასაც სწორედ აღნიშნული მიმართულებებით ვგეგმავთ. ამისათვის, კომპანიის საქმიანობის პროცესში ვცდილობთ აქტიურად დავნერგოთ ისეთი ტექნოლოგიური სიახლეები, როგორებიცაა: დრონები, ავტონომიური სამშენებლო ტექნიკა, დამატებითი და ვირტუალური რეალობის ხელსაწყოები და 3D ბეტონის პრინტერები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ენერგოეფექტურობის პრინციპების დამკვიდრებას და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას მშენებლობაში, უფრო და უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის კანონმდებლობის კუთხით, რაც სამშენებლო სექტორს ახალი გამოწვევებისა და რეგულაციების წინაშე აყენებს. ამიტომ, გარდა უშუალოდ მშენებლობის პროცესში გამოყენებული მოწინავე ინოვაციური ტექნოლოგიებისა, რაც უმნიშვნელოვანესია დროისა და ფიზიკური შრომის ხარჯების შესამცირებლად, კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს შენობების და კონსტრუქციების ენერგოეფექტურობის გაზრდის და გარემოს დაცვითი ღონისძიებების მიმართულებით არსებულ ტენდენციებს.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის შემოსავლები 2020 საანგარიშო წლის მიხედვით შეადგენს 14 167 ათას ლარს (იგივე მაჩვენებელი 2019 წელს შეადგენდა 14 119 ათას ლარს). შემოსავლების 68 %-ს (9 663 ათასი ლარი) შეადგენს აშენებული ფარების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო დარჩენილი 32 % (4 504 ათასი ლარი) მოდის სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების წილად. აღნიშნული თანაფარდობა 2019 წლის საანგარიშო პერიოდში იყო 77 % (ფართების რეალიზაციიდან - 10 910 ათასი ლარი) 23 % - თან (სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურებიდან - 3 209 ათასი ლარი). აღნიშნული მონაცემები მეტყველებს 2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების მიწოდების მიმართულებით გადადგმულ აქტიურ ნაბიჯებზე. სწორედ საერთო შემოსავლებში სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების წილის ზრდა განაპირობებს მიწოდებული მომსახურების/პროდუქციის თვითღირებულების ზრდას 2019 წლის საანგარიშ პერიოდთან შედარებით (რპთ 2019 წლის მიხედვით - 8 173 ათასი ლარი, რპთ 2020 წლის მიხედვით - 8 912 ათასი ლარი). კომპანია თითქმის ერთ დონეზე ინარჩუნებს ადმინისტრაციულ ხარჯებს (2019 წლის მიხედვით - 733 ათასი ლარი, 2020 წლის მიხედვით - 756 ათასი ლარი). 2020 წელს აღინიშნება სავაჭრო მოთხოვნების ზრდა, რაც განპირობებულია სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების მიწოდებით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ზრდით (2019 წლის მიხედვით - 3 653 ათასი ლარი, 2020 წლის მიხედვით - 4 501 ათასი ლარი). 2020 წლის საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიცია უძრავ ქონებაში 3 233 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც კომპანია გეგმავს მნიშვნელოვანი მოგების მიღებას.

საანგარიშო პერიოდში ასევე აღსანიშნავია მოკლევადიანი ვალდებულებების კლება, რაც ოპტიმალური კრედიტორული დავალიანების ფონზე (2019 წლის მიხედვით - 49 ათასი ლარი, 2020 წლის მიხედვით - 318 ათასი ლარი), განპირობებულია სამშენებლო ფართების მიწოდების პარალელურად მიღებული ავანსების მოცულობის კლებით (2019 წლის მიხედვით - 7 526 ათასი ლარი, 2020 წლის მიხედვით - 2 687 ათასი ლარი).

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანია აცნობიერებს გამართული კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელობასა და უპირატესობებს. კომპანია დიდი ძალისხმევით ცდილობს შექმნას კორპორაციული მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორებისა და დამატებითი კაპიტალის მოზიდვას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობის ამაღლებას, მომავალ აქციონერებსა და მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერთობების ეფექტურობის ამაღლებას, კომპანიაზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას და შიდა კონტროლის ეფექტურობის ამაღლებას, კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილებას და მომავალ აქციონერთა უფლებების დაცვას, კომპანიის ეფექტურ ზრდას და პიოზიტიურ იმიჯს ბაზარზე. ამასთან, ძლიერი კორპორაციული მართვის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, კომპანია უზრუნველყოფს კორუფციის დაძლევის და გამჭვირვალე ბიზნესის განვითარებას.

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო პარტნიორთა საერთო კრებაა (შემდგომში „საერთო კრება“). კომპანიის გენერალური დირექტორი (შემდგომში „გენერალური დირექტორი“), რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურ ოპერაციებზე და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს, ინიშნება საერთო კრების მიერ.

კომპანიის საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს, როგორც რიგგარეშე კრება, გენერალური დირექტორის ან პარტნიორის მოთხოვნით. კომპანიის წესდების შესაბამისად კომპანიის ყოველდღიური მართვა და წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს. გენერალური დირექტორი კომპანიის საქმიანობას უძღვება კომპანიის წესდების დებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემა მაქსიმალურად მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამართლიანობა, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და გამჭვირვალობა.

კომპანია აღიარებს კორპორაციული მართვის ჯანსაღი პრაქტიკის წარმოების მნიშვნელობას და მხარს უჭერს კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს. კომპანიის გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს კომპანიის პარტნიორებს, აცნობებს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება/წარადგენს საერთო კრებაზე. დირექტორების მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია პარტნიორების მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

კომპანია ცდილობს ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო, თანამედროვე პრაქტიკის დამკვიდრებას, მხარს უჭერს ქცევის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში. შესაბამისად, კომპანია მოქმედებს სამართლიანად მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის

მომხმარებლებთან, შექმნას და წახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანმიმდევრულობის გარემო. კომპანიის მიზანია კორპორაციული მართვის მძლავრი სისტემის დანერგვით უზრუნველყოს ეკონომიკურ, სოციალურ, ინდივიდუალურ და კომუნალურ მიზნებს შორის ბალანსი და მაქსიმალურად დაიცვას ფიზიკური პირების, კორპორაციებისა და საზოგადოების ინტერესები და უფლებები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია ცდილობს დანერგოს რისკის მართვის კულტურა საქმიანობის ყველა დონეზე. კომპანიაში სისტემატიურად ხდება ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა დამუშავება, რათა მოხდეს რისკების იდენტიფიცირება, მართვა, უარყოფითი ეფექტის მინიმიზაცია. პოტენციური რისკები, რომლებიც კომპანიის საქმიანობაში შეიძლება ჩაითვალოს არსებითად, შემდეგია: სავალუტო რისკი, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების გართულების რისკი, დებიტორული დავალიანების ზრდის რისკი, პანდემიით გამოწვეული რეგულაციები გამკაცრების რისკი.

სავალუტო რისკი - კომპანია ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს როგორც ფინანსური ინსტიტუტების რესურსს უცხოურ ვალუტაში, ასევე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი მოცულობით ახორციელებს უცხოური მასალების იმპორტსა და ადგილობრივ ბაზარზე შეძენას. შესაბამისად, ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შემცირების მიზნით, კომპანია მიტიგაციის საყოველთაოდ მიღებულ საშუალებებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ბაზრების ათვისებას, რაც კომპანიაში უცხოური ვალუტის შემოდიანების წყაროა. ასევე, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებას, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე სამშენებლო მასალების წარმოებაში.

მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული პროცედურების გართულების რისკი - აღნიშნული საკითხი გამოირჩევა თავისი მნიშვნელობითა და თავისებურებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვს როგორც კონკრეტული სპეციალობის კვალიფიციურ კადრს, ასევე საჭიროებს შესაბამის სამთავრობო უწყებებთან კომუნიკაციის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკის და გამოცდილების არსებობას. კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა, როგორც ზემოაღნიშნულ სფეროში გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე კადრების დასაქმებას. კომპანია ზრუნავს ისეთი გარემოს შექმნაზე, რაც უზრუნველყოფს როგორც კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, საკანონმდებლო სიახლეების ოპერატიულ რეჟიმში გაცნობასა და დამუშავებას, ისე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლას და სამომავლო ტენდენციებზე გათვლას. აღნიშნული მიდგომა იძლევა საშუალებას ოპერატიულად მოხდეს სახელმწიფო უწყებებთან სანებართვო საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების გავლა და პროექტის რენტაბელობის გაანგარიშებისათვის საჭირო ღონისძიებების დაწყება.

დებიტორული დავალიანების ზრდის რისკი - კომპანიის დებიტორებს წარმოადგენენ ფიზიკური პირები, რომლებიც იძენენ კომპანიის მიერ აშენებულ/მშენებარე ფართებს და

დამკვეთი იურიდიული პირები, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი კომპანიის სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურებით. კომპანიაში ფუნქციონირებს სპეციალური სამსახური, რომელიც აკონტროლებს ფიზიკური პირების მიერ თანხების დაფარვის პროცესს (გრაფიკს). ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთ პირობებს, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მყიდველის შესაძლებლობებზე, თუმცა იგი ასევე მოიცავს ისეთ პირობებსაც, რომელიც მაქსიმალურად აზღვევს მყიდველის მიერ სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობით გამოწვეულ რისკს.

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, რომლებიც სარგებლობენ კომპანიის სამშენებლო მომსახურებით, ამ შემთხვევაშიც კომპანია ურთიერთობას არეგულირებს საწყის ეტაპზევე გამართული სამართლებრივი დოკუმენტებით, ხელშეკრულებებით, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ სამართლებრივ ბერკეტებსა და მექანიზმებს (მაგ. გადახდის საავანსო სისტემას, საბანკო გარანტიას), რაც უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს ღირებულების გადაუხდელობის რისკის მინიმიზაციას.

პანდემიით გამოწვეული რეგულაციების გამკაცრების რისკი - 2020 წელს ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დაგვანახა, რომ რისკებს შორის, რომლებიც საყოველთაოდ არის აღიარებული, არანაკლებ მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც საფრთხეს შეუქმნის არა მხოლოდ მშენებლობის სფეროს განვითარებას, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, არის ის რეგულაციები და შეზღუდვები, რაც შესაძლოა პანდემიის პროცესის სამართავად იქნეს გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის შესაბამისი უწყებების მიდგომა, რომლის თანახმადაც, მიუხედავად ეკონომიკის მთელი რიგი დარგების ფუნქციონირების შეზღუდვისა, სამშენებლო სექტორს აღნიშნული შეზღუდვები მინიმალურად შეეხო. სახელმწიფო კარგად აცნობიერებს სამშენებლო დარგის სტრატეგიულ მნიშვნელობას და პანდემიის პირობებში ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს დარგის სტიმულირებისათვის, რომელთა შორისაც აღსანიშნავია იპოთეკური სესხების სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამა. ამასთან, თავის მხრივ, კომპანია აქტიურად ნერგავს და ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენურ პროცედურებს, როგორც ოფისებში, ასევე სამშენებლო ობიექტებზე და ზედმიწევნით იცავს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ რეგულაციებს, რაც მინიმუმამდე ამცირებს თანამშრომლებსა თუ მომხმარებლებში ვირუსით ინფიცირების რისკს. ამდენად, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული და კიდევ სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, მინიმუმამდე დაიყვანს პანდემიით გამოწვეულ მავნე ზემოქმედებას სამშენებლო სექტორზე.

რისკის მართვა

საერთო კრება და აღმასრულებელი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავნერგოთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვის სისტემები ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. კომპანია ცდილობს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მინიმალურ დონემდე შემცირებას. ჩვენ ვიყენებთ შიდა კონტროლის ისეთ პროცესებს, რომლებიც მიზნად ისახავს მაქსიმალური შედეგის მიღწევას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცაა:

- ოპერაციების ეფექტურობა და ეფექტიანობა;
- კომპანიის აქტივებისა და მონაცემების დაცვა;
- ფინანსური და სხვა ანგარიშგებების სანდოობა;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენა და პრევენცია;
- რისკების მხედველობაში მიღება და მათი მართვა;
- კომპანიის მიერ შემოღებული პრაქტიკისა და ეთიკური ნორმების შესაბამისობა კოდექსთან;
- კომპანიის საქმიანობის შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- ბიზნესის მდგრადობის მხარდაჭერა უსაფრთხო პირობებში.

მოცემულ ეტაპზე შიდა კონტროლის პროცესების მართვა ხდება კომპანიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის ჩართულობით. კომპანიის თითოეულ რგოლში კვალიფიციური კადრის დასაქმებით, ჩვენ ვცდილობთ სამეურნეო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით აუცილებელი მონაცემების დამუშავებას და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას. აღნიშნულ პროცესში კომპანია ინტენსურად იყენებს და ნერგავს სხვადასხვა ტექნოლოგიებსა და პროგრამულ საშუალებებს. კომპანიის საქმიანობის შეფასება და ანალიზი ხდება ყოველთვიურად, რისთვისაც შესაბამისი სპეციალისტების მიერ ხდება სპეციალური გაანგარიშებების შედგენა. წარმოდგენილი გაანგარიშებების განხილვა ხდება ფინანსური დირექტორისა და გენერალური დირექტორის მიერ, რომელიც ღებულობს შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებებს. სამომავლოდ, კომპანია გეგმავს შიდა აუდიტის განყოფილების შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კომპანიის ოპერაციების, საქმიანობის, სისტემებისა და პროცესების რეგულარულ მონიტორინგსა და აუდიტზე, რათა უზრუნველყოს გონივრული, დამოუკიდებელი და ობიექტური რწმუნება და საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც შექმნილია კომპანიის ოპერაციებისთვის ღირებულების დამატებისა და გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული განყოფილება მაქსიმალურად დამოუკიდებელი იქნება აღმასრულებელი ხელმძღვანელობისაგან და იგი ანგარიშვალდებული იქნება კომპანიის საეთო კრების მიმართ.

3. არაფინანსური ანგარიშგება

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

კომპანია მისი საქმიანობის სპეციფიკის მიუხედავად, მაქსიმალურად ცდილობს არათუ მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე მავნე ზემოქმედებით მიღებული შედეგები, არამედ პირიქით, თითოეული პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გარემოს დაცვის და გაუმჯობესების კუთხით გასაწევი სამუშაოების შესრულებას. თითოეული პროექტის მიმდინარეობისას კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორებიცაა:

- გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი;
- ენერგიის მოხმარებით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე;
- პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიები ატმოსფეროში;
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება და დაცვა;
- ნარჩენების მართვა;

კომპანია საქმიანობის პროცესს გეგმავს იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი. თითოეულ პროექტზე კომპანია გამოყოფს შესაბამის რესურსს, რათა შემუშავდეს არა მხოლოდ გარემოს დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გეგმა, რომლის დაცვაც პროექტის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციას, ნარჩენების მართვას, არამედ ადგენს და ახორციელებს დენდროლოგიურ პროექტებს. კომპანია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების ჩართულობით და ასევე, კომპანიის საკუთრებაში არსებული თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით, რომელიც თავის მხრივ ახდენს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას და ენერგიის (ენერგომატარებლების) მოხმარების ეკონომიას. კომპანია იყენებს მოწინავე ტექნოლოგიებს და თანამედროვე მასალებს, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანია ცდილობს ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციების ძირითადი პრინციპები. არსებობს მოსაზრებები, რომ შრომის საერთაშორისო ნორმები დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან, რაც თითქოსდა იწვევს ეკონომიკური განვითარების შეფერხებას. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომის საერთაშორისო ნორმების დაცვის ფონზე უმჯობესდება პროდუქტიულობა და ეკონომიკური მაჩვენებლები. კომპანია აცნობიერებს, რომ შრომის ანაზღაურებისა და სამუშაო დროის უფრო მაღალი სტანდარტებითა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემით შესაძლებელია მივიღოთ უკეთესი კვალიფიკაციის მქონე და საკუთარი სამუშაოთი უფრო მეტად კმაყოფილი კადრები და მათი ნაკლები დენადობა. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვას. ჩვენ სისტემატიურად ვატარებთ პროფილაქტიკურ და დაცვით ღონისძიებებს, რომლებიც ეხება სამუშაო ადგილების, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის გამოყენების, სიმაღლეზე შესრულებული სამუშაოების უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ პროფესიულ განათლებაში ინვესტირებით, უსაფრთხოების და ჰიგიენის მაღალი სტანდარტების დაცვით, კომპანიაში შევქმნათ კვალიფიციური კადრების დასაქმებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემო.

ლ. ბალაძე
დირექტორი

შპს „გუმბათი ჯგუფი“
20 დეკემბერი 2021

კომპანია საქმიანობის პროცესს გეგმავს იმდაგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი. თითოეულ პროექტზე კომპანია გამოყოფს შესაბამის რესურსს, რათა შემუშავდეს არა მხოლოდ გარემოს დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გეგმა, რომლის დაცვაც პროექტის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციას, ნარჩენების მართვას, არამედ ადგენს და ახორციელებს დენდროლოგიურ პროექტებს. კომპანია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ოპტიმიზაციას უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების ჩართულობით და ასევე, კომპანიის საკუთრებაში არსებული თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით, რომელიც თავის მხრივ ახდენს გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციას და ენერგიის (ენერგომატარებლების) მოხმარების ეკონომიას. კომპანია იყენებს მოწინავე ტექნოლოგიებს და თანამედროვე მასალებს, რაც უზრუნველყოფს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანია ცდილობს ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული კონვენციების ძირითადი პრინციპები. არსებობს მოსაზრებები, რომ შრომის საერთაშორისო ნორმები დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან, რაც თითქოსდა იწვევს ეკონომიკური განვითარების შეფერხებას. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევების სულ უფრო მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომის საერთაშორისო ნორმების დაცვის ფონზე უმჯობესდება პროდუქტიულობა და ეკონომიკური მაჩვენებლები. კომპანია აცნობიერებს, რომ შრომის ანაზღაურებისა და სამუშაო დროის უფრო მაღალი სტანდარტებითა და თანასწორუფლებიანობის პატივისცემით შესაძლებელია მივიღოთ უკეთესი კვალიფიკაციის მქონე და საკუთარი სამუშაოთი უფრო მეტად კმაყოფილი კადრები და მათი ნაკლები დენადობა. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამშენებლო სფეროში შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დაცვას. ჩვენ სისტემატიურად ვატარებთ პროფილაქტიკურ და დაცვით ღონისძიებებს, რომლებიც ეხება სამუშაო ადგილების, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის გამოყენების, სიმაღლეზე შესრულებული სამუშაოების უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ პროფესიულ განათლებაში ინვესტირებით, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მაღალი სტანდარტების დაცვით, კომპანიაში შევქმნათ კვალიფიციური კადრების დასაქმებისათვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემო.

ლ. ბალაძე

ლ. ბალაძე
დირექტორი

შპს „გუმბათი ჯგუფი“
20 დეკემბერი 2021

